



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის დასახელება	აგრარული მეცნიერებანი
სპეციალობა	<ol style="list-style-type: none">1. აგრონომია2. ვეტერინარია3. მეცხოველეობა4. სასურსათო ტექნოლოგიები5. სატყეო საქმე
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	<ol style="list-style-type: none">1. აგრონომიის მაგისტრი - Master of Science in Agronomi; (0101)2. ვეტერინარიის მაგისტრი - Master of veterinary science (0102)3. მეცხოველეობის მაგისტრი - Master of animal husbandry (0103)4. სასურსათო ტექნოლოგიების მაგისტრი - Master of food technology (0104)5. სატყეო საქმის მაგისტრი - Master of forestry (0105)
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	2 წელი / 4 სემესტრი, 120 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღი	პროგრამა შემუშავებული და დამტკიცებულია 21.05. 2012 სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით პროგრამა განახლებადია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.
პროგრამის ანალოგები	UNIVERSITY OF HELSINKI http://www.mm.helsinki.fi/opiskelu ; Iowa State University, USA. http://www.agron.iastate.edu ; University of East London http://www.uel.ac.uk/hab/programmes/postgraduate/biosciencemsc.htm ; University of Leeds - West Yorkshire http://www.leeds.ac.uk/coursefinder/17203/MSc_Bioscience_(Biotechnology) ; Cork Institute of Technology

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანს წარმოადგენს მომზადდეს აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი, რომელიც ორიენტირებული იქნება როგორც დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებაზე, ასევე საქართველოში და საზღვარგარეთ სამეცნიერო ან პრაქტიკულ საქმიანობაზე, შეიძენს აგრარული სფეროს დისციპლინებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამის სპეციალიზაციებში თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, მაგისტრანტს გამოუმუშაოს აგრარული მეცნიერების დარგში ინფორმაციის ანალიზისა და სტატისტიკური მეთოდების გამოყენების უნარი. მოამზადოს აგრარული დარგის სათანადო ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთის შრომით ბაზარზე, სახელმწიფო ან კერძო სექტორის შესაბამისი პროფილის სამსახურებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, საწარმოებში და სხვა.

სურვილის შემთხვევაში მაგისტრს შეეძლება სწავლა განაგრძოს შემდგომი საფეხურის (დოქტორანტურის) იგივე ან მომიჯნავე სპეციალობების/სპეციალიზაციების პროგრამაზე, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით და საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული პროცედურის გავლის შემდეგ.

პროგრამის მიზანია აგრონომიის სპეციალობით:

მომზადდეს აგრონომიის მაგისტრი, რომელიც იქნება ორიენტირებული, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საქმიანობაზე. მას ეცოდინება საქართველოში და მსოფლიოში გავრცელებული ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოშობა, ბიოლოგია და ეკოლოგია, მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების გამომწვევ პათოგენთა დამახასიათებელი (სისტემატიკური) ნიშნები და ონთოგენეზი, ეცოდინება აგროეკოსისტემები და მისი ძირითადი მიმართულებები, აგროსისტემებში გამოყენებული ძირითადი ბიოტექნოლოგიები, თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მიღწევების გამოყენების შესაძლებლობები ნიადაგებისა და გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ, ეცოდინება გენომის მეცნიერებისა და მისი ქვემიმართულებების პრაქტიკული როლი აგრონომიაში. სასოფლო სამეურნეო კულტურების გენომის სტრუქტურული ორგანიზაცია და ფუნქცია, გენომის კვლევის მეთოდები და მიმართულებები სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა გენეტიკური რესურსების კვლევაში. შეეძლება მეურნეობის საწარმოო სისტემის დაგეგმვა, ახალი ტექნოლოგიების გამოცდა-დანერგვა, მიიღებს ცოდნას, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაისტრტურის) სტანდარტებს.

პროგრამის მიზანია ვეტერინარიის სპეციალობებით:

მომზადდეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე, შიდა და გარეო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ვეტერინარიის მაგისტრი, რომელიც ორიენტირებული იქნება, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საქმიანობაზე, შეძლებს წარმართოს მრავალმხრივი კომპლექსური საქმიანობა ვეტერინარიის სფეროში, კერძოდ:

- წარმატებით განახორციელოს ცხოველების და ფრინველების ინფექციური, ინვაზიური და არაგადამდები დაავადებების მკურნალობა და პრევენციული ღონისძიებები;

- დაიცვას ადამიანები ცხოველისა და ადამიანის საერთო დაავადებების გავრცელებისაგან;
- დაიცვას ქვეყნის საზღვრები დაავადებების შემოტანისაგან;
- მოახდინოს ცხოველების დაკვლისწინა და ხორცისა და ხორცპროდუქტების დაკვლისშემდგომი ვეტერინარიულ-სანიტარიული ექსპერტიზა;
- დასვას სწორი დიაგნოზი და მოახდინოს დიფერენციული სადიაგნოსტიკო გამოკვლევები;
- შეაფასოს პაციენტის კლინიკური სტატუსი და მოახდინოს ქირურგიული, გინეკოლოგიური ჩარევები;
- განახორციელოს სასამართლო-სავეტერინარო ექსპერტიზა.

მთლიანობაში, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სრულად გამოხატოს სწავლისა და სწავლების შინაარსი და ის კვალიფიკაცია, რომელსაც სტუდენტი იღებს პროგრამის დასრულების შემდეგ.

პროგრამის მიზანია მეცხოველეობის სპეციალობებით:

მომზადოს აგრარული მეცნიერების მაგისტრი მეცხოველეობაში, რომელიც დაუფლებული იქნება ცხოველის სელექცია-მოშენების, კვების, მოვლა-შენახვის და გამრავლების უახლეს მეთოდებს. შესძინოს მეცნიერულ დონეზე ცხოველთა ნორმირებული კვების პრინციპები, სრულფასოვანი საკვები ულუფის შედგენის მეთოდები ცხოველთა სახეობის, ფიზიოლოგიური მდგომარეობის, კვების არსებული რესურსების გათვალისწინებით. ცხოველის მოვლის, სელექციის, ჰიბრიდიზაციის უახლესი ტექნოლოგიები; გამოუმუშაოს ექსპერიმენტის ჩატარების და კვლევის მასალების ანალიზის უნარები; შეასწავლოს ძირითადი სამეცნიერო თეორიები მეცხოველეობაში.

პროგრამა უზრუნველყოფს მეცხოველეობის პროდუქციის და ნედლეულის წარმოების და პირველადი დამუშავების სფეროში მოღვაწეობასა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას. პროგრამაში ძირითადი ყურადღება ექცევა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზს.

პროგრამის მიზანია სასურსათო ტექნოლოგიების სპეციალობით:

გააცნოს სტუდენტებს საკვების წარმოების ტექნოლოგიის ძირითადი, თანამედროვე პრინციპები და მიმართულებები, საკვებ პროდუქტებში შემავალი სხვადასხვა კომპონენტების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებები და ამ ნაერთების მნიშვნელობა ადამიანის ორგანიზმებისათვის, მათი განსაზღვრისა და იდენტიფიცირების მეთოდები, საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების მნიშვნელობა და სხვ. მაგისტრები საფუძვლიანად დაეუფლონ და გაეცნონ სურსათის შენახვის მეთოდებს, შენახვის დროს პროდუქტში მიმდინარე ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ, მიკრობიოლოგიურ და ფიზიკურ პროცესებს, ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრისა და მასზე მოქმედი ფაქტორების მართვის შესაძლებლობებს.

სტუდენტების მიერ ჩატარებული პრაქტიკული კვლევების საფუძველზე ისინი უფრო ღრმად და დეტალურად გაეცნობიან კონკრეტული საკვები პროდუქტების, როგორცაა მაგალითად, ხორცი, თევზი, კონსერვები, სასმელები (ულკოპოლო და ალკოპოლოური) წარმოების ტექნოლოგიებს, აგრეთვე სურსათის უვნებლობის პრინციპებსა და წესებს, როგორც საქართველოში ასევე

ევროკაბშირში მოქმედ სათანადო ნორმატიულ დოკუმენტებს.

პროგრამის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს საკვები პროდუქტებისა და ნედლეულის ლაბორატორიული ანალიზის კონკრეტული, როგორც ფუნდამენტური, ასევე თანამედროვე ექსპრეს მეთოდები. სასურსათო ტექნოლოგიების სპეციალობის კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, კურსდამთავრებულს მიეცემათ რეალური შესაძლებლობა გადამზადებისა და სხვა დამატებითი ტრენინგების გავლის გარეშე დასაქმდნენ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში და დაიწყონ მუშაობა პროფილის მიხედვით შემდეგ კონკრეტულ მიმართულებებზე: სურსათის უვნებლობის სამსახურები; ექსპერტიზის სამსახურები; კვების მრეწველობისა და სასოფლო სამეურნეო პროფილის კომპანიები; მარეგულირებელი, სააუდიტო და საკონსულტაციო კომპანიები; სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიები. გარდა აღნიშნულისა, კურსდამთავრებულს შეეძლება გააგრძელოს სწავლა სადოქტორო პროგრამაზე. როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

პროგრამის მიზანია სატყეო საქმის სპეციალობებით:

მომზადოს მაგისტრი, რომელიც შეძლებს შექმნილი ცოდნის გამოყენებას; ტყეზე საკუთრებისა და მფლობელობის სხვადასხვა ფორმების არსებობის პირობებში, ტყის მეურნეობის მართვას საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით; ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვის, კვლავწარმოებისა და ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციას და პროგნოზირებას; სატყეო-სამეურნეო სამუშაოთა დამოუკიდებლად დაგეგმვას, განხორციელებას და მონიტორინგს; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი და ორიგინალური გზების ძიებას.

მომზადოს კვალიფიციური სპეციალისტი ზოგადი უნარებით, როგორცაა: დასაბუთებული დასკვნების გამოტანა რთული ან არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე; სხვადასხვა სახის ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; დასკვნების არგუმენტაციის და სამეცნიერო საზოგადოებაში მიღებული სტანდარტების შესაბამისი კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე; სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და მონაწილეობა ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში.

უზრუნველყოს სტუდენტთა პიროვნული განვითარება (კომუნიკაბელურობა, ენების ცოდნა) და მათი ჩართვა სასწავლო - სამეცნიერო პროცესში და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან დიპლომირებულ სპეციალისტს, უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საერთო სამაგისტრო გამოცდისა და საუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის

შესაბამისად (იხილეთ დანართი).

ასევე შესაძლებელია მობილობის წესით ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობისა და საუ-ს რეგულაციების შესაბამისად.

სწავლის შედეგები

ზოგადი კომპეტენციები:

დასკვნის გაკეთების უნარი –მაგისტრი შეძლებს:

- შესაბამისი თეორიული და სამეცნიერო კონცეფციების პრაქტიკულ პროფესიულ გარემოში გადატანას;
- სტატისტიკური ანალიზის ჩატარებას;
- სამეცნიერო ცოდნის და შესაბამისი მეთოდების გამოყენებით სიტუაციიდან გამომდინარე სამაგისტრო თემიდან გამომდინარე დამოუკიდებელი აზრის ჩამოყალიბებას და შესაბამისი დასკვნის/ანგარიშის მომზადებას;

კომუნიკაციის უნარი –მაგისტრი შეძლებს:

- სამიზნე აუდიტორიასთან მიღებული ცოდნის გაზიარებას და საჭირო ინფორმაციის მიღებას;
- პრეზენტაციებითა და წერილობითი რეფერატების ფორმით მშობლიურ და ინგლისურ ენებზე კომუნიკაციას;
- ბიბლიოთეკებისა და სხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო (მათ შორის ელექტრონული) ტექნოლოგიების გამოყენებას.

სწავლის უნარი –მაგისტრი შეძლებს:

- თავისი შესაძლებლობების შეფასებას, დროის მაქსიმალურად სწორედ და ეფექტიანად გადანაწილებას;
- სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვას;
- სწავლისა და კვლევის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებას და სტრატეგიულად დაგეგმვას;
- სწავლის გაგრძელებას ცოდნის გაღრმავების მიზნით.

ღირებულებები--მაგისტრი შეძლებს:

- პროფესიულ საქმიანობაში ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულების შეფასებას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანას.

დარგობრივი კომპეტენციები

I. აგრონომიის სპეციალობით :

ცოდნა და გაცნობიერება - მაგისტრს

- ექნება მცენარეთა ახალი ჯიშების და ჰიბრიდების გამოყვანის თანამედროვე კვლევის მეთოდების ცოდნა;
- ექნება მცენარეთა შეჯვარების გენეტიკური პრინციპების და მცენარეთა მოსავლიანობის ზრდის მეთოდების გაუმჯობესების, მცენარეთა ბუნებრივი სელექციისა და ადაპტაციის, შეჯვარებისათვის საჭირო მეთოდების შერჩევისა და გენური ინჟინერიის, როგორც მცენარეთა შეჯვარების მეთოდის ცოდნა.
- ეცოდინება სასოფლო სამეურნეო კულტურებისა და მერქნიან მცენარეთა გენომის სტრუქტურული ორგანიზაცია და ფუნქცია, გენომის კვლევის მეთოდები და მიმართულებები სასოფლო-სამეურნეო და მერქნიან მცენარეთა გენეტიკური რესურსების კვლევაში. დნმ ტექნოლოგიები მერქნიან და კულტურულ მცენარეთა დიაგნოსტიკაში.
- ექნება სოფლის მეურნეობის თანამედროვე ტენდენციების, ახალი ინოვაციური მიმართულებების (ორგანული სოფლის მეურნეობა, თანამედროვე ბიოტექნოლოგია, აგრო, ბიო, ნანო და საინფორმაციო ტექნოლოგიის საფუძვლების) ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი –მაგისტრი შეძლებს:

- საკვები სავარგულების ზედაპირულ და ძირეულ გაუმჯობესებას და რაციონალური გამოყენების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას;
- ნიადაგის ნაყოფიერების მართვისა და დაცვის ღონისძიებების ჩატარებას;
- მინერალური, ორგანული და ბიოლოგიური სასუქების გამოყენების სქემების შედგენას;
- მუტაგენეზის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურათ სელექციაში;
- ნიადაგის დამუშავებისა და მელიორაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას.

დასკვნის გაკეთების უნარი -მაგისტრი შეძლებს:

- შეძლებს სპეციალობის შესაბამისი ტერმინოლოგიის ცოდნის საფუძველზე საქმიანი დოკუმენტაციის წარმოებას
- შეძლებს არსებული ლიტერატურიდან და ელექტრონული წყაროებიდან ექსპერიმენტული მონაცემებისა და ინფორმაციის მოძიებას და ამის საფუძველზე ადეკვატური და დასაბუთებული დასკვნის გამოტანას;
- შეძლებს პრობლემის გადასაწყვეტად მონაცემების შეგროვებას, მონიტორინგს, ანალიზს და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას;
- შეძლებს დარგობრივ სფეროში დეტალური და სრულად მომცველი წერილობითი ანგარიშის მომზადების უნარს.

სწავლის უნარი:

- სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის შეფასების საფუძველზე, გარემოსთან და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შემდგომი შესწავლის საჭიროების დადგენა.

კომუნიკაციის უნარი:

- სტუდენტი შეძლებს კომუნიკაციას აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან სათანადო ტერმინოლოგიის გამოყენებით, შეძლებს წარმოადგინოს სამეცნიერო კვლევების შედეგები პრეზენტაციის ფორმატში.

ღირებულებები:

- სტუდენტი შეძლებს სამეცნიერო ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების ობიექტურ შეფასებას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში საკუთარი წვლილის შეტანას;
- სტუდენტები გააცნობიერებენ ბიოეთიკის ნორმებს, აღიარებენ აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს (მაგ., გამოხატავენ პლაგიატიზმის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას და ა.შ.).

II. ვეტერინარიის სპეციალობით:

ცოდნა და გაცნობიერება - ვეტერინარიის მაგისტრს ეცოდინება:

- პროფესიული უნარ-ჩვევები, რომელიც მას საშუალებას მისცემს შეაფასოს დაავადებულ ორგანიზმში განვითარებული ცვლილებები, პათო- და მორფოგენეზი;
- ვეტერინარიის სფეციფიკური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები;
- სავეტერინარო კანონმდებლობის სამართლებრივი ნორმები და ნორმატიული აქტები.

სწავლის შედეგად სათანადო ცოდნაზე დაყრდნობით შეძლებს:

- შეადგინოს დაავადების მართვის (გამოკვლევებისა და მკურნალობის) გეგმა;
- ჩაატაროს ვეტერინარიული საქმიანობის მონიტორინგი

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ვეტერინარიის მაგისტრი შეძლებს:

- განახორციელოს ინფექციური, ინვაზიური და არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები;
- დასვას დიაგნოზი, მოახდინოს ლაბორატორიული გამოკვლევები და დიფერენციალური დიაგნოსტიკა;
- შეაფასოს პაციენტის კლინიკური სტატუსი და ჩაატაროს შესაბამისი მკურნალობა;
- მოახდინოს ცხოველების დაკვლისწინა, ხორცისა და ხორცპროდუქტების დაკვლისშემდგომი ვეტერინარიულ-სანიტარიული ექსპერტიზა. მიიღოს გადაწყვეტილება პროდუქტების ვარგისიანობაზე;
- მოამზადოს მასალა ლაბორატორიული სადიაგნოსტიკო გამოკვლევებისათვის;
- ჩაატაროს გადაუდებელი პირველადი სავეტერინარო დახმარება;
- ჩაატაროს ქირურგიული ოპერაციები და გინეკოლოგიური გამოკვლევები და მკურნალობა;
- უხელმძღვანელოს ვეტერინარულ საქმიანობას და დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები.

დასკვნის გაკეთების უნარი - ვეტერინარიის მაგისტრი შეძლებს:

- შეაფასოს პაციენტის კლინიკური სტატუსი და მიიღოს გადაწყვეტილება;
- ვეტერინარული და მეცხოველეობის მიმართულების საწარმოებში მოახდინოს ვეტერინარული პროცესების მდგომარეობის ანალიზი და ალტერნატიული წინადადებების შეთავაზება.

კომუნიკაციის უნარი- ვეტერინარიის მაგისტრი შეძლებს:

- დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობას;
 - პაციენტის მეპატრონესთან წარმატებით განახორციელოს კომუნიკაცია ვერბალური და წერილობითი ფორმით;
 - ზოონოზური (ადამიანისთვის და ცხოველისთვის საერთო) დაავადებების მიმართ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ბუკლეტების, საინფორმაციო ცნობარის მომზადება-გავრცელებას;
 - ვეტერინარიის დარგის პრობლემატიკის ამოცნობას და პერსპექტივების გაშუქებას, საინფორმაციო ცნობარების ბუკლეტების გავრცელებას, საჯარო ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობას და შესაბამისი მომსახურეობის გაწევას;
 - დაამყაროს კავშირი დარგის მეცნიერებთან, წამყვან სპეციალისტებთან, ფერმერებთან, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის გარეთ;
- კომუნიკაციების თანმედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მშობლიურ და უცხოურ ენაზე სპეციალობაში მოიპოვოს უახლესი ინფორმაციები საკუთარი აზრის სრულყოფილად ჩამოყალიბებისათვის.

სწავლის უნარი:

- სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ სტუდენტს შეძლებს დამოუკიდებლად წარმართოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა, დასახოს შემდგომში სწავლის გაგრძელების აუცილებლობა.

ღირებულებები:

- კურსდამთავრებულს ჩამოყალიბდება პროფესიული უნარ-ჩვევები დაავადების დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკისა და ვეტერინარულ ექსპერტიზის კუთხით. პირადი ეთიკურ-ინტელექტუალური ღირებულებები, რაც გამოხატვას ჰპოვებს მისი მუშაობის სტილში. მთლიანობაში მიღებული ცოდნა ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი სპეციალისტის ჩამოყალიბებას.

III. მეცხოველეობის სპეციალობით:

ცოდნა და გაცნობიერება - მაგისტრანტს ეცოდინება:

- ტექნიკურ-ქიმიური კონტროლის ლაბორატორიული საფუძვლები, ცხოველთა ნორმირებული კვების პრინციპი, ცხოველთა კერძო სელექცია, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის პირველადი დამუშავების ტექნოლოგია.
- ცხოველთა გამრავლების ბიოტექნოლოგია, რძის და ძროხის ხორცის წარმოების ტექნოლოგია, მერძევეობა, მეფრინველეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგია, ღორის ხორცის წარმოების ტექნოლოგია, თევზის მოშენების ტექნოლოგია, მეცხვარეობის პროდუქციის წარმოების

ტექნოლოგია.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – მაგისტრანტი შეძლებს:

- დაამზადოს სხვადასხვა სახის, ასაკის, სქესისა და ფიზიოლოგიური მდგომარეობის ცხოველებისათვის სრულფასოვანი ულუფა;
- აწარმოონ სანაშენე მუშაობის ორგანიზაცია;
- შეძლებს რეალიზაციამდე სასურსათო კვერცხის, ხორცის და რძის სასაქონლო დამუშავებას;
- მეცხოველეობის დარგის სხვადასხვა მიმართულებებში ახალი ჯიშების, ხაზებისა და ოჯახების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, ჯიშების სანაშენე და პროდუქციული თვისებების გენეტიკური სრულყოფის სასელექციო პროგრამის შემუშავება, ცხოველებთან მიზანმიმართული სასელექციო-სანაშენე მუშაობის ჩატარება, წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების მართვა.

დასკვნის გაკეთების უნარი - მაგისტრანტი შეძლებს:

- მეცხოველეობის სფეროში შესაბამისი ტერმინოლოგიის ცოდნა და საქმიანი დოკუმენტაციის წარმოების უნარი;
- მეცხოველეობაში არსებული ლიტერატურიდან და ელექტრონული წყაროებიდან ექსპერიმენტული მონაცემებისა და ინფორმაციის მოძიების უნარი და ამის საფუძველზე ადეკვატური და დასაბუთებული დასკვნის გამოტანის უნარი;
- მეცხოველეობაში პრობლემის გადასაწყვეტად მონაცემების შეგროვების, მონიტორინგის, ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
- დარგობრივ სფეროში დეტალური და სრულად მომცველი წერილობითი ანგარიშის მომზადების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

- მაგისტრი შეძლებს მეცხოველეობის დარგის პრობლემატიკის, ამოცანების და პერსპექტივების გაშუქებას, საინფორმაციო ცნობარის, ბუკლეტებისა და სხვათა მომზადება –გავრცელებას; მეცხოველეობის დარგში საჯარო ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობას და შესაბამისი მომსახურების გაწევას
- მეცხოველეობის დარგის მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაძლო ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას.
- სახელმწიფო და სხვა შესაბამისი პროგრამების, სამეცნიერო-ტექნიკური და საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებას.
- მეცხოველეობის დარგში სერტიფიკაციის ორგანიზებას, საქმიანობის დაგეგმვას და განხორციელებას.

სწავლის უნარი:

- მაგისტრი შეიძენს უნარებს, რომ დამოუკიდებლად დაგეგმოს სწავლა ინდივიდუალური მასობრივი, მსხვილმასშტაბური და ხაზობრივი სელექციის საკითხებზე; ცხოველთა და

ფრინველთა შეფასების უახლეს მეთოდებზე: მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ტექნოლოგიებზე; ცხოველთა სრულფასოვანი კვების კონტროლის მეთოდებზე.

ღირებულებები:

- იცავს მეცხოველეობაში საქმიანობისათვის დაწესებულ პრინციპებს, სურსათის ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმებს, აცნობიერებს საკუთარი პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობას მომხმარებელთა ჯანმრთელობის უსაფრთხოებისთვის.

IV. სასურსათო ტექნოლოგიების სპეციალობით

ცოდნა და გაცნობიერება - მაგისტრს ექნება:

- ცოდნა კვების პროდუქტების ბიოტექნოლოგიის მიმართულებების, კვების პროდუქტების წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენების ასპექტებსა და სფეროების შესახებ;
- ეცოდინებათ სურსათის, სასურსათო ნედლეულისა და პროდუქტების ქიმიური შემადგენლობა და ხარისხობრივი მონაცემები;
- მიიღებენ სრულყოფილ ინფორმაციას საკვები პროდუქტების ხარისხისა და უვნებლობის სისტემების პრინციპებზე;
- ეცოდინებათ კვებისა და გადამამუშავებელ მრეწველობაში ბიოლოგიური ობიექტებისა და მათ მიერ სინთეზირებული პროდუქტების გამოყენების სფეროები და მასშტაბები, ტექნოლოგიური სქემები.
- შეიძენენ ცოდნას კვების სისტემის ოპტიმალური ორგანიზაციისა და ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა ურთიერთკავშირის შესახებ.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი –მაგისტრი შეძლებს:

- სურსათის, სასურსათო ნედლეულისა და პროდუქტების ქიმიური შემადგენლობის და ხარისხობრივი მონაცემების განსაზღვრას უახლესი თანამედროვე ლაბორატორიული მეთოდების გამოყენებით.
- ცალკეული კულტურების მიხედვით შეარჩიოს შენახვის ოპტიმალური პარამეტრები, გამოიყენოს დამატებითი ღონისძიებები ნაყოფის შენახვისუნარიანობის გაზრდის მიზნით. გაითვალისწინოს ჯიშური თავისებურების გავლენა შენახვის ხანგრძლივობასა და დანაკარგებზე.
- პროცესის წარმართვას ისე, რომ დაცული იყოს ტექნოლოგიური რეგლამენტი, თბური დამუშავების შემთხვევაში მინიმალური ენერგო დანახარჯებით საჭირო შედეგის მიღებას, ქიმიური პროცესების უსაფრთხოდ ჩატარებას და მაღალი კვებითი ღირებულების პროდუქტის მიღებას.
- ხარისხის კონტროლის HACCP-ის პრინციპების დანერგვას შესაბამისი პროფილის საწარმოში.

დასკვნის გაკეთების უნარი- მაგისტრი შეძლებს:

- კვების პროდუქტების საწარმოს ხარისხის კონტროლის ჩანაწერებისა და მატერიალურ ტექნიკური ბაზის მონაცემების საფუძველზე აკეთებს დასკვნას ხარისხის კონტროლის ქმედითუნარიანობისა და მისი ტექნიკური აღჭურვილობის განახლების აუცილებლობის შესახებ.

კომუნიკაციის უნარი - მაგისტრი შეძლებს:

- კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიაში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების, წინადადებისა და მოსაზრებების შესახებ დეტალური ანგარიშის მომზადებას და ინფორმაციის გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და უცხოურ ენებზე როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით;
- თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, საინფორმაციო ბაზებთან, პროგრამებთან, ელექტრონულ დოკუმენტებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობას ტექნოლოგიური პროცესების გასაუმჯობესებლად, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას საქმიანი დოკუმენტების/ანგარიშების შედგენის მიზნით.

სწავლის უნარი - მაგისტრი შეძლებს:

- კვების პროდუქტების საწარმოში პრაქტიკული საქმიანობისას შეძენილი ცოდნის და პრაქტიკული უნარების სრულყოფას და მუდმივ განახლებას; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას;

ღირებულებები:

- კვების პროდუქტების ტექნოლოგიის საქმიანობასთან დაკავშირებული ღირებულების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მოტივაცია და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

V. სატყეო საქმის სპეციალობით:

ცოდნა და გაცნობიერება - მაგისტრს ეცოდინება:

- ტყის რესურსების ეფექტიანად გამოყენების პრინციპები, გაცნობიერებული ექნება ანტროპოგენური ფაქტორის გადამწყვეტი როლი ბუნებრივი, მათ შორის ტყის რესურსების დაცვასა და კვლავწარმოებაში;
- აგროსისტემების განახლებადი რესურსები, გენმოდულიფიცირებული ორგანიზმები, თანამედროვე ბიოტექნოლოგიები;
- მერქნიან მცენარეთა გენომის სტრუქტურული ორგანიზაცია და ფუნქცია, გენომის კვლევის მეთოდები და მიმართულებები მერქნიან მცენარეთა გენეტიკური რესურსების კვლევაში.
- ექნება ცოდნა ტყის ბიოცენოზებში არამერქნული რესურსების მარაგების, მისი ცალკეული კომპონენტების, გავრცელების, მნიშვნელობის, აღრიცხვის, დამზადებისა და მდგრადი გამოყენების შესაძლებლობების, საკანონმდებლო აქტებისა და ამ საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო მიდგომების შესახებ.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი –მაგისტრი შეძლებს:

- დნმ ტექნოლოგიების გამოყენებას მერქნიან მცენარეთა დიაგნოსტიკაში;
- თანამედროვე აგრო, ბიო და ნანო ტექნოლოგიების გამოყენებით მერქნიან მცენარეთა თესლისა

და სარგავი მასალის წარმოებას;

- ტყის მართვის ზოგადი პრონციპების (სამაგისტრო თემის მიხედვით, ტყითსარგებლობის, ტყის მოვლა-დაცვისა და ტყის აღდგენა-განახლების მიმართულებით) გამოყენებას.
- სატყეო სექტორში სერტიფიკაციის ორგანიზებას, საქმიანობების დაგეგმვას და განხორციელებას.

დასკვნის გაკეთების უნარი- მაგისტრი შეძლებს:

ტყის ეკოსისტემებში მიმდინარე ბუნებრივი და ანთოპოგებული ზემოქმედების შედეგად მიმდინარე ცვლილებების დაფიქსირებას, რისკების შეფასებას და ღონისძიებების დაგეგმვას.

კომუნიკაციის უნარი - მაგისტრი შეძლებს

- სატყეო დარგის პრობლემატიკის, ამოცანებისა და პერსპექტივების გაშუქებას, საინფორმაციო ცნობარების, ბუკლეტებისა და სხვათა მომზადება-გავრცელებას, საჯარო ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობას, შესაბამისი მომსახურების გაწევას;
- სატყეო სფეროს მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაძლო ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას;
- საინფორმაციო ბანკში ინფორმაციის ანალიზისა და ტყის ფონდის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადებას.

ღირებულებები:

- შეიცნობს და გაიღრმავებს პროფესიულ ღირებულებებს, რაც დაკავშირებულია ტყის მდგრად მართვასთან, ტყეების სერტიფიცირების მექანიზმის გამოყენებით, შეცნობს და შეაფასებს ტყის ეკოსისტემების ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებს.

სწავლების მეთოდები

სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული სწავლის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლის შემდეგი მეთოდები:

ლექცია – ლექციაზე სტუდენტი იძენს თეორიულ ცოდნას სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების მიხედვით. მისი დანიშნულებაა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად თემათა თეორიულ-გამოყენებით ჭრილში განხილვა და სტუდენტის უზრუნველყოფა შესაბამისი მეთოდოლოგიური ინფორმაციით და ტერმინოლოგიით.

პრაქტიკული მეცადინეობები – პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტი ახდენს სავარჯიშოებისა და სიმულაციური ამოცანების შესრულებას, შედეგების სტატისტიკურ დამუშავებას, ანალიზს და განსჯას. პრაქტიკული მეცადინეობებზე სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა გამომუშავებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო თემატიკით გათვალისწინებული სხვადასხვა საქმიანი თამაში (პრობლემური სიტუაციების ანალიზი (ქეისი), რომლის მიზანია სტუდენტს გააცნოს კონკრეტულ თემასთან (თემებთან) მიმართებაში პრაქტიკული პრობლემები, რომელიც რეალურად შესაძლებელია წარმოიქმნას (ან წარმოიქმნა) შესაბამის ორგანიზაციაში.

მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე სტუდენტმა უნდა შეძლოს პრობლემის გადაჭრის მექანიზმების შემუშავება. სწავლების აქტიური და თამაშის მეთოდები შესაძლებლობას იძლევა მთლიანად იქნას რეალიზებული სტუდენტთა შემოქმედებითი პოტენციალი. სტუდენტს თითოეული ქეისი მიეცემა სტრუქტურირებული ფორმით: მიზანი, დავალება, ამოსავალი მონაცემები, ამოხსნის რეკომენდაციები. ქეისების ამოსახსნელად სტუდენტისთვის მიცემული რეკომენდაციები წარმოადგენს პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მეთოდურ საფუძველს.

სემინარული მეცადინეობა – სემინარულ მეცადინეობაზე სტუდენტთა ჯგუფი მუშაობს სილაბუსში მოცემულ საკითხზე, მიმდინარეობს დისკუსიები, სტუდენტთა შორის ხდება კოლექტიური აზროვნების შეჯგურება. მეცადინეობა ითვალისწინებს განსახილველი საკითხის საფუძვლიან დამუშავებას და სემინარზე დემონსტრირებას. ლექტორი კურსის ფარგლებში არჩევს პრობლემატურ საკითხებს, რომელთა დამუშავება საჭიროებს ლექციაზე გაშუქებული კონცეფციებისა და დებულებების სათანადოდ გააზრებას, მითითებული ლიტერატურის, აგრეთვე სხვა საინფორმაციო წყაროების გაცნობა-ანალიზსა და საკითხისადმი საკუთარი პოზიციის გამოკვეთას. სემინარული მუშაობისას უნდა გადამოწმდეს, თუ რამდენად მართებულად გაიგო სტუდენტმა ლექციაზე გაშუქებული საკითხები, ან/და დამოუკიდებლად მომზადებული მასალა.

- სემინარული მეცადინეობების წარმართვის ფორმატი:
- დისკუსია/დებატები.
- ჯგუფური მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება
- თანამშრომლობითი სწავლება
- მოხსენება/დემონსტრირება/პრეზენტაცია და სხვ.

ლაბორატორიული მეცადინეობა - სტუდენტი თვითონ ახდენს სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების მიხედვით ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებას. ცდების დაყენებას.

კურსების შესწავლა ასევე ხორციელდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით რეკომენდებული ძირითადი სახელმძღვანელოების, დამატებითი ლიტერატურის დამუშავების, აგრეთვე ინტერნეტ-რესურსების გამოყენების საფუძველზე.

კვლევითი კომპონენტები:

მაგისტრატურის სტუდენტების კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) თემატიკა განისაზღვრება მათ მიერ არჩეული მიმართულებით, რომელსაც შეარჩევს თემის სამეცნიერო ხელმძღვანელთნ ერთად და უკავშირდება მაგისტრის სპეციალიზაციასა და შერჩეული თემის თავისებურებებს. სწავლების პროცესში სამეცნიერო ხელმძღვანელი კონსულტაციას უწევს მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე საკითხების ირგვლივ.

სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომს, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეასრულებენ უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბაზაზე არსებულ ლაბორატორიაში, საუ-თან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტიტუტებსა და საწარმოებში, აგრეთვე სათანადო პროფილის ორგანიზაციებსა და სამსახურებში.

პედაგოგიური პრაქტიკა:

პედაგოგიური პრაქტიკა წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-

პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მაგისტრანტის მომზადების მნიშვნელოვან კომპონენტს და მოიცავს მაგისტრანტის მიერ უნივერსიტეტში სპეციალური დისციპლინების სწავლებას, სტუდენტთა სასწავლო აქტივობის ორგანიზებას, საგანზე სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობას, პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობის უნარებისა და ჩვევების ჩამოყალიბებას.

პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზებას უზრუნველყოფს ფაკულტეტი და შესაბამისი კურსის პედაგოგები.

საწარმოო პრაქტიკა:

- სასწავლო პრაქტიკის გასავლელად სტუდენტი მიდის ვეტერინარულ სადიაგნოსტიკო ლაბორატორიებში, კერძო ვეტერინარულ კლინიკებში, კვლევით დაწესებულებებში, სანაშენე მეურნეობებში, მეცხოველეობის საწარმოებში, ხორც-საკონტროლო სადგურებში, ხორცკომბინატებში და სხვა, ეცნობა და ახორციელებს ცხოველების დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის, დისპანსერიზაციის მეთოდებს, ცხოველთა იდენტიფიკაციის წესებს, აღწერს სანაშენო მუშაობის წარმოებაში გამოყენებულ მეთოდებს.
- დარგობრივად ეცნობა ცხოველთა მოვლა-შენახვის სისტემებს, უვნებელი პროდუქციის მიღების ტექნოლოგიას და პირველად დამუშავებას .

კურსების შესწავლა ასევე ხორციელდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით რეკომენდებული ძირითადი სახელმძღვანელოების, დამატებითი ლიტერატურის დამუშავების, აგრეთვე ინტერნეტ-რესურსების გამოყენების საფუძველზე.

დასაქმების სფერო

შესაბამისი პროფილის სამთვრობო და არასამთვრობო ორგანიზაციები

- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული ყველა რეგიონალური სამმართველო;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;
- ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული ყველა რეგიონალური სამმართველო;
- სურსათის უვნებლობის მაკონტროლებელი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები;
- დაცული ტერიტორიების სააგენტო და მის დაქვემდებარებაში არსებული ყველა სამსახური;
- სავაჭრო ქსელის შესაბამისი მომსახურების სფერო (საკოლმეურნეო ბაზრები, სუპერ და ჰიპერმარკეტები);
- მსხვილი და მცირე ფერმერული მეურნეობები;
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და შესაბამისი პროფილის ლაბორატორიები;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა გადამამუშავებელი საწარმოები და კომპანიები;
- სახელმწიფო/კერძო კვლევითი და საკონსულტაციო და მომსახურების (სერვის) სამსახურები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- შეუძლია გახდეს დამსაქმებელი და თვითონ შექმნას ფერმერული მეურნეობა;
- იჯარით და სხვა ფორმით, სარგებლობაში გადაცემული ტყის რესურსების დაცვის, აღდგენისა და გამოყენების მიმართულებით მომსახურების ორგანიზაციებში;
- ყველა იმ საქმიანობის სფერო, რომელიც დაკავშირებულია ტყის მეურნეობის სხვადასხვა ფორმებთან და ტყის ფონდის მიწების გამოყენებასთან;
- არასამთვრობო გარემოს დაცვითი ორგანიზაციები;

- ქალაქებისა და სოფლების გამწვანების სამსახურები.

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა

სწავლის უკეთეს შედეგზე გასვლის მიზნით შემუშავებულია ახალი სამაგისტრო სასწავლო გეგმა (იხილეთ დანართი №2).

შეფასების წესი

საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის ერთობ მნიშვნელოვანია სტუდენტის მოსწრების ადექვატური შეფასების მეთოდები.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის მიზნით, ზოგადად სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ლექტორი უფლებამოსილია სტუდენტის მოსწრების შეფასების საკუთარი სისტემა შეიმუშაოს. თუმცადა მისი ეს „თავისუფლება“ იზღუდება სტუდენტთა შეფასების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანებისა (ბრძანება № 3 - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ (ბრძანება №785-ით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით)) და სტუდენტის ცოდნის შეფასების ახალი სისტემის შესახებ რექტორის ბრძანების (რექტორის ბრძანება № 15-04/218 (05.08.2011) ცვლილება № 15-04/3141 (09.12.2011)) მოთხოვნების დაცვის ვალდებულებით.

- ◆ სასწავლო კურსის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც შედგება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდისაგან;
- ◆ დასკვნითი გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულაა 40;
- ◆ დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით 51 ქულა უგროვდება
- ◆ შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 20 ქულა;
- ◆ დასკვნითი და შუალედური გამოცდები ჩატარდება წერიითი ფორმით;
- ◆ სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე გასვლა სავალდებულოა მიუხედავად იმისა თუ სტუდენტმა შუალედური შეფასებებით დაგროვილი დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამის დაგროვება შეძლო თუ არა (მინიმუმ 51 ქულა);
- ◆ ასევე სავალდებულოა დასკვნით გამოცდაზე არანაკლებ 8 ქულის დაგროვება;
- ◆ ორივე გამოცდის ჩატარების პროცედურას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი.

ამ შემთხვევაში დაცული იქნება გამოსაცდელი პიროვნების ანონიმურობა. ლექტორი კი თავად გამოცდების პროცესში (შუალედური (მაქს. 20 ქულა) და დასკვნითი გამოცდა (მაქს. 40 ქულა)) საგამოცდო საკითხების მომზადებით, მათთვის ქულადობრივი წონადობის მინიჭებით და შემდეგ კი საგამოცდო ნაშრომების შეფასებით მონაწილეობს.

გარდა ამისა მას შეუძლია შეფასების დარჩენილი 40 ქულა სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე საკუთარი შეხედულებისამებრ გადაანაწილოს. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია კურსების სილაბუსებში.

შეფასების სისტემისადმი ამგავრი ინდივიდუალური მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ გამომუშავებული კომპეტენციების დადგენის უფრო ადექვატურ და ზუსტ მეთოდს. შეფასების სიტემის ასეთი მრავალფეროვნება უზრუნველყოფს პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტის შეფასების ეს მეთოდები და პროცედურა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

**შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია კურსების სილაბუსებში.
შეფასების შკალა**

A	ფრიადი	ΙΑΘΟΕΙΑΕΘΟΕ ὙΑ×ΑΟΑΑΕΟ 91% ἈΑ ΙΑΘΕ
B	ძალიან კარგი	ΙΑΘΟΕΙΑΕΘΟΕ ὙΑ×ΑΟΑΑΕΟ 81-90%
C	საშუალო	ΙΑΘΟΕΙΑΕΘΟΕ ὙΑ×ΑΟΑΑΕΟ 71-80%
D	დამაკმაყოფილებელი	ΙΑΘΟΕΙΑΕΘΟΕ ὙΑ×ΑΟΑΑΕΟ 61-70%
E	საკმარისი	ΙΑΘΟΕΙΑΕΘΟΕ ὙΑ×ΑΟΑΑΕΟ 51-60%
FX	ვერ ჩააბარა	ΙΑΘΟΕΙΑΕΘΟΕ ὙΑ×ΑΟΑΑΕΟ 41-50%, ὉΑΥ ΙΕὔΙΑΑΟ, Ὁἰ ὈὈἈΑΙὈ ὙΑὈΑΑΑὈἈἈἘἈ ἸΑΘΕ ἸὈὔΑΙἈ ὉἈἘὈἈἈἈ Ἀ ἈἘἈἈ ἈἈἰὈἘἘἈἈἈἘἘ ἸὈὔΑΙἈἘ ἈἈἸὈἈἈἘ ἈἈἰὔἈἈἘ ἈὈἘἈἘ ἈὈἈἘἘ Ὀ×ἘἈἈ 41 – 50
F	ჩაიჭრა	ΙΑΘΟΕΙΑΕΘΟΕ ὙΑ×ΑΟΑΑΕΟ 40% Ἀ ἸἈἘἘἈἈἘ, ὉΑΥ ΙΕὔΙΑΑΟ, Ὁἰ ὈὈἈἈΙὈἘ ἸἘἈ ὙἈὈἈὈἈὈἘ ὉἈἰὈὔΑ Ἀ Ὀ ἈὈἘ ὉἈἘἸἈὈἘ Ἀ ἸἈ Ὀ ἈἈἈἸἘ ἈἈἘἘἈἈ ἈὈἈ ὙἈὈἈὈἈἈἘ

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

საგანმანათლებლო პროგრამისთვის აუცილებელი სასწავლო მასალები დაფუძნებულია თანამედროვე სამეცნიერო-კვლევით შედეგებზე, რაც ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

საუ-ს ბიბლიოთეკა იზრუნებს იმისათვის, რომ სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი. აღნიშნულის უზრუნველყოფა განხორციელდება სასწავლო კურსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის მინიმუმ ერთი ეგზემპლარის შეძენით და თავად სახელმძღვანელოს ბიბლიოთეკის როგორც ფონდში, ასევე ამ უკანასკნელის ელექტრონული ვერსიის ბიბლიოთეკის პორტალზე ხელმისაწვდომობით.

სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები სილაბუსებით გათვალისწინებული ყველა ლაბორატორიული მეცადინეობა ჩატარდება უნივერსიტეტის ლაბორატორიებში, ასევე სტუდენტებს საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო შემოქმედებით საქმიანობაში (სამეცნიერო პროექტები, კონფერენციები და სხვა).

კულტურისა და ხელოვნების ცენტრი ფუნქციონირებს 2006 წლიდან, რომელმაც გააერთიანა უნივერსიტეტში ათწლეულების მანძილზე მოქმედი სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფი. ცენტრის ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს კულტურული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, გასართობი, შემოქმედებითი საღამოებისა და კულტურულ-შემეცნებითი ხასიათის, ღონისძიებების გამართვა.

სპორტული ცენტრი საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში 2006 წ შეიქმნა, არსებული ფიზიკური აღზრდის კათედრის ბაზაზე. სპორტულმა ცენტრმა გააერთიანა სპორტის სხვადასხვა სახეობაში სექციები და უნივერსიტეტის ნაკრები გუნდები, რომლებიც წარმატებით ასპარეზობენ.

დღესდღეობით სპორტულ ცენტრში ფუნქციონირებს 10 სექცია.

კომპიუტერული ცენტრი უზრუნველყოფს აგრარული უნივერსიტეტის ინტერნეტ და ქსელური ინფრასტრუქტურის მომსახურებას. ხელს უწყობს უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების მიერ კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ათვისებასა და გამოყენებას. ახდენს სწავლების თანამედროვე მეთოდების აპრობაცია-დანერგვასა და პოპულარიზაციას.

3. ფერის სახელობის ეკოლოგიური სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის ლაბორატორიის აღჭურვილობაში არსებული ხელსაწყოები:

ატომურაბსორბციული სპექტრომეტრი (Perkin Elmer) თხევად ნიმუშებში ან ნიადაგის და მცენარის გამონაწურში ქიმიურ ელემენტების კონცენტრაციის განსაზღვრისათვის;

CNS ანალიზატორი (Elementar) ნებისმიერი სახის მყარ და თხევად სუბსტრატში ნახშირბადის, აზოტის და გოგირდის შემცველობის განსაზღვრისთვის;

UV/VIS/NIR სპექტრომეტრი (Perkin Elmer) სხვადასხვა ორგანული თუ არაორგანული ნაერთების განსაზღვრისათვის;

თერმოსტატი (Heraeus) ტენიანობის განსაზღვრის და ნიმუშების საანალიზოდ მომზადებისთვის;

მუფელის ღუმელი (Nabertherm) მყარი ნიმუშების მშრალი დანაცვრისთვის.

დამხმარე ხელსაწყოები: ანალიზური და ტექნიკური ელექტროსასწორები (Sartorius); pH/Ion-მეტრი (WTW); კონდუქტომეტრი (WTW); ლაბორატორიული წისქვილები (Fritsch) ნიადაგის და მცენარის ნიმუშების მოსამზადებლად; წყლის დეიონიზატორი (Thermo Scientific); ვარირებადი პიპეტები (Eppendorf) და სხვ.

ლაბორატორიაში სტუდენტები გაეცნობიან თანამედროვე ხელსაწყოებს, მათი მუშაობის პრინციპებს და დაეუფლებიან კვლევის საერთაშორისო აღიარებულ მეთოდებს. ისინი შეძლებენ ნიადაგურ და მცენარეულ ნიმუშებში განსაზღვრონ მაკრო, მიკრო და ტოქსიკური ელემენტები, რაც აუცილებელია პროდუქციის ხარისხის უზრუნველსაყოფად.

მინი-სადემოსტრაციო სათბური, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, სადაც სტუდენტებს საშუალება ექნებათ თავიანთი ძალებით აწარმოონ ექსპერიმენტები და მოახდინონ დაკვირვებები.

დენდროლოგიური პარკი - პარკის გაშენებას საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში. პარკის ტერიტორიაზე თავმოყრილია როგორც ადგილობრივი ასევე უცხოური ფლორის უნიკალური წარმომადგენლები: შიშველთესლოვანთა 5 ოჯახის, 16 გვარის 41 სახეობა, ფარულთესლოვანებიდან 37 ოჯახის 73 გვარის 112 სახეობა.

დენდროლოგიური პარკი წარმოადგენს საუკეთესო ობიექტს სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკებისა და სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის სამუშაოების ჩასატარებლად.

ნიადაგმცოდნეობის მუზეუმი -1976 წელს აგრონომიულ ფაკულტეტზე დაარსდა ნიადაგმცოდნეობის მუზეუმი. ნიადაგმცოდნეობის მუზეუმში ინახება საქართველოს თითქმის ყველა ძირითადი ნიადაგური ტიპების მონოლითების, ნიადაგწარმომქმნელი ქანების, მინერალების, აგრომადნებისა და გამოფიტვის პროცესების ამსახველი ექსპონატები. მუზეუმში წარმოდგენილია საქართველოს მაღალმთიანეთის, ტყის ზონის, აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი სუბტროპიკების და დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკების ნიადაგები და მათი წარმომქმნელი ქანები, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სტუდენტი გაეცნოს საქართველოს ნიადაგური საფარის მრავალფეროვნებას, ნიადაგის წარმოქმნის, კლასიფიკაციის, შედგენილობისა და თვისებების საკითხებს. ნიადაგმცოდნეობის მუზეუმის მრავალფეროვანი კოლექცია ერთ-ერთი საუკეთესო პირობაა გეოლოგიისა და ნიადაგმცოდნეობის სასწავლო პროცესებისა და სავსე პრაქტიკების ურთიერთდასაკავშირებლად.

საქართველოს ხორბლის გენოფონდი - გენეტიკის და სელექცია მეთესლეობის მიმართულებაზე დაცულია საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების და აბორიგენული ჯიშ-პოპულაციების უნიკალური გენოფონდი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია მივიღოთ ინტენსიური ტიპის თანამედროვე ჯიშები. ქართული ხორბლის ენდემური სახეობები მსოფლიოში აღიარებულია დონორებად-დაავადებების მიმართ გამძლეობის, მაღალცილიანობის, ცილაში

შეუცვლელი ამინომჟავების, მაღალი პურცხოვის, მადატენიანობისადმი გამძლეობის და თავთავმტვრევადობის გენებით.

ბაკალავრიატის სტუდენტებს ხორბლის გენოფონდი საშუალებას მისცემს აწაროონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და მიიღონ ინტენსიური ტიპის ახალი ჯიშები, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისთვის.

მიმართულებაზე არის ტრიტიკალეს და ხორბლის მსოფლიო კოლექციის ჯიშ-ნიმუშები, რომელიც მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და საუკეთესო საწყისი მასალაა ახალი ჯიშების მისაღებად.

ვაზის სამრეწველო ჯიშების კოლექცია - 2005 წელს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით 1.5 ჰა-ზე გაშენდა საქართველოში გავრცელებული სამრეწველო ჯიშების კოლექცია (57 ჯიში).

სტუდენტები გაეცნობიან საქართველოში გავრცელებულ საღვინე და სუფრის ჯიშებს, ვაზის ორგანოგრაფიას, მცნობის პროცესს, სხვლის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს და მსხმოიარე ვენახში ჩასატარებელ აგროტექნიკურ ღონისძიებებს.

კოლექციაში არსებობს მევენახეობის მიმართულებაზე წლების განმავლობაში შექმნილი პერსპექტიული ფორმები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია ახალი ჯიშების შექმნა.

ხეხილოვანი კულტურების კოლექცია - 2005 წელს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით 2.7 ჰა-ზე გაშენდა ხეხილის კოლექცია, რომელიც მოიცავს საქართველოში გავრცელებული ადგილობრივი და ინტროდუცირებულ ისეთ კულტურების როგორცაა: ვაშლი, მსხალი, კომში, ბალი, ქლიავი, ატამი და სხვ.

სტუდენტებს საშუალება აქვთ ცალკეულ კულტურებზე აითვისონ გასხვლის პროცესი, დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები, ვეგეტაციის პერიოდში ჩასატარებელი ყველა აგროტექნიკური ღონისძიება.

მინდვრის კულტურების კოლექცია - მემცენარეობის მიმართულებაზე წლების განმავლობაში შექმნილია უძველესი და ძველი კულტურების კოლექცია (ფეტვი, ღომი, ცერცვი, მუხუდო და სხვ.) სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ ამ კულტურების განვითარების მთელ სავეგეტაციო პერიოდს.

ენტომოლოგიის სამუზეუმო მასალა - იშვიათ და გადაშენების პირას მისულ სახეობებს, საკარანტინო ადვენტურ და პოტენციურად საშიშ სახეობებს. მულიაჟებითა და ონთოგენების სრული ციკლით გამოსახულ უარყოფითი სამეურნეო მნიშვნელობის მავნე სახეობებს, საქართველოს ბიოცენოზებში აკლიმატიზებულ პერსპექტიულ ბიოაგენტებს. ისარგებლებენ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინსექტარიუმით.

მიკრობიოლოგიური ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით (მათ შორის „ელაიზა“-ს აპარატი), სადაც შესაძლებელია არა მარტო სილაბუსით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოების დაგეგმვა, არამედ მეცნიერული კვლევა-ძიება და ცხოველთა და ფრინველთა დაავადებების დიაგნოსტიკა იმუნოფერმენტული ანალიზის დონეზე;

დიაგნოსტიკური ლაბორატორია, სადაც ტარდება სისხლის, შარდის კლინიკური ანალიზი და გამოკვლევისათვის მასალის მომზადება.

სავეტერინარო კლინიკა - კლინიკის ბაზაზე (გააჩნია საოპერაციო, საპროცედურო, სტაციონარები, ვივარიუმი, პროზექტურა, საპრეპარაციო, ვეტერინარული აფთიაქი, რენტგენის კაბინეტი) სტუდენტს საშუალება ეძლევა აწარმოოს გინეკოლოგიური გამოკვლევები, მოახდინოს ოპერაციული ჩარევები საცდელ და ლაბორატორიულ ცხოველებზე, ოპერაციისწინა გამოკვლევები და ოპერაციისშემდგომი სარეაბილიტაციო პროცედურები. მოახდინონ ცხოველის კლინიკური სტატუსის შეფასება და დასახონ მკურნალობის გზები. დასვან დაავადებაზე დიაგნოზი, მოახდინონ დიფერენციალური დიაგნოსტიკა, განახორციელონ ვენეპუნქცია, ინექცია ვენაში, კუნთებში, კანქვეშ,

მუცლის და გულმკერდის ღრუში და სხვა, ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის სისხლის, შარდის, ლორწოს, ფეკალის და პათოლოგიური მასალის აღება. აწარმოონ ვეტერინარიული დოკუმენტაცია.

პათანატომიური, ანატომიური, ზოოლოგია-ჰისტოლოგიის მუზეუმები. მუზეუმში არსებული ექსპონატების გამოყენებით მაგისტრს საშუალება ეძლევა დამოუკიდებლად აწარმოოს დაკვირვება დაავადებისათვის დამახასიათებელ მაკროსკოპიულ პრეპარატებზე, სხვადასხვა სახის ცხოველისა და ფრინველის ჩონჩხზე, მულიაჟებზე, ფიტულებზე, სველ პრეპარატებზე, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს განიმტკიცოს დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები, პათოლოგიური პროცესების ამოცნობისა და ვიზუალური შეფასების მეთოდები და სხვა.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობა

სამაგისტრო პროგრამის - „აგრარული მეცნიერებანი“ სასწავლო გეგმა აგებულია ECTS სისტემით. მაგისტრატურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 120 კრედიტისაგან, რომლის 21 კრედიტი საერთო საგნების მოდულს შეადგენს, 42(მათ შორის - 6 არჩევითი) კრედიტი აგრარულ მეცნიერებათა საერთო სასწავლო კურსების საგნებზე მოდის, ხოლო 57 კრედიტი თითოეული სპეციალობის კონცენტრაციაზე (სულ 5 კონცენტრაცია).

- სწავლება გრძელდება 4 სემესტრის მანძილზე;
- ერთი აკადემიური წელიწადი ბრძანება № 785 მოთხოვნების გათვალისწინებით შედგება 38 სასწავლო კვირისაგან (ამათგან 30 სასწავლო – 8-სასესიო);
- კვირული დატვირთვა 6 დღე;
- დღიური საშუალო დატვირთვა 5-6 საათი;
- ერთი სემესტრის გრძელდება 15 სასწავლო, 4 სასესიო კვირა;
- სტუდენტის სასწავლო საქმიანობა 1 აკადემიური წლის განმავლობაში 1800 საათია;
- 1 კრედიტი ტოლია 30 საათის.

პროგრამა შედგება სასწავლო და სამეცნიერო კვლევის ელემენტებისგან რომელთა ერთობლიობა მათ მიერ გამომუშავებულ კომპეტენციებთან ერთად შესაძლებლობას იძლევა მიღწეულ იქნას პროგრამით გათვალისწინებული მიზნები და შესაბამისი შედეგები. სასწავლო გეგმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში მონაწილეობს უნივერსიტეტისა აკადემიური პერსონლი, კვლევით ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლები და მოწვეული პედაგოგები.